ღედა ვარ, შემობრალეო!

რას სთხოვს ღედა მერცხალი კატას?
წერიტი ხაფარჯიშო. სად იკეთებს მერცხალი ბუღეს?
რით კვებავს იგი ბარტყებს?

გარეული ფრინველები.



მოსავლის მცველნი: ბულბული, მერცხალი, ოფოფი, შოშია, ბელურა,
მწყერი, ტოროლა.

ჩიტო და მელა.

(ზღაპარი)

იყო ერთი ჩიტო-ჩიორა. ტყეში ხეზე მოხერხებული ალაგი იპოვა და ბუდე გაიკეთა. მერე შიგ ჩაჯდა და სამი კვერცხი დადო. სამ კვირაზე გამოჩეკა პატარა ჩიორები. დედა თავის შვილებს უზიდავდა ჭიებს, კალიებს, პეპლებს, ბუხებს, აკმევდა და ზრდიდა.

დიდ სიხარულში იყო ჩიორა: ჩქარა დავაფრენ ჩემს ბარტყებსო. მაგრამ მალე უბედურება ეწია: წყეულმა მელამ ბუდეს მიაგნო. მიცუნცულდა ხის ძირას და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ: ცულს მოვიტან. ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგკამ და შენს შვილსაცა.



შეეშინდა საწყალ ჩიორას, აიყვანა თავისი ბარტყები და ცოტა მოშორებით, ერთ ძველ ბუდეში მოათავსა. მსუნაგმა მელამ მაინც მიაგნო ჩიტის ბუდეს, მიირბინა და ჩიორას შესძახა:

— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე, თორემ შავ დღეს დაგაყენებ: ცულს მოვიტან, ცუნცულასა, ხელეჩოს და წალდუნასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგკამ და შენს შვილსაცა.



დაღონებულმა ჩიორამ აიყვანა თავისი ბარტყები და უფრო შორს, ერთი ხის ხავსიან ტოტებში დამალა. წყეულმა მელამ კიდევ მიაგნო ჩიტის ახალ ბინას, მიირბინა და ჩიორას შესძახა:



— ჩიტო, ჩიტო, ჩიორაო!
— რაო, ბატონო, მელაო?
— ერთი ბარტყი გადმომიგდე.
თორემ შავ დღეს დაგაყენებ:
ცულს მოვიტან, ცუნცულასა,
ხელეჩოს და წალდუნასა,
ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა,
შენც შეგჭამ და შენს შვილსაცა.

მწარედ დაღონებულმა ჩიორამ აიყვანა თავისი ბარტყები, მხრებზე შეისხა და უნდოდა იქაურობას მოშორებოდა, მაგრამ ამ დროს ერთი ბარტყი გადმოუვარდა. მელამ ბარტყს პირი დაავლო, ბუჩქებში გაარბენინა და სწრაფად გადა-
ყლაპა.

უბედური ჩიტი თავისი ორი ბარტყით მოშორდა იმ არემარეს. შემოჯდა ერთ ხეზე მეტად დაღონებული.

მონადირემ დაინახა ჩიტი და ჰკითხა:

— ეგრე მწარედ რამ დაგაღონა, ჩიორაო?

— არ გებრალეები?! ერთმა წუწკმა მელამ შვილი შემიჭა-
მაო.

— აბა, წამო, მიჩვენე ის წყეული და მე გაყურებინებ
იმის სერსაო.

ჩიტი გაუძღვა მონადირეს და მელასთან მიიყვანა.

მონადირემ მელას თოფი ესროლა, შიგ პირში მოარტყა
და სული გააფრთხობინა.



ჩიტვი.

ვგალობ და ვგალობ
და იმით ვხარობ,
რომ მე ქვეყანას
გალობით ვატკობ.

ღამეს ვატარებ
ხეხედა ძილით,
დილას ვახარებ
გალობით ტკბილით.

რა ახარებს ჩიტს?
წერიტი ხაფარჯიშო. დაწერეთ ეს ლექსი ზეპირად.

შაქროს სინანული.

ერთმა მოხუცმა მონადირემ კაქკაქს ლაპარაკი ასწავლა. კაქკაქის ლაპარაკი ძალიან მოსწონდა მეზობლის პატარა შაქროს. შაქროს უყვარდა, როცა მოხუცი ჰკითხავდა: კაქკაქო, სადა ხარო? და ისიც ეტყოდა: აქაო.

ერთხელ შაქრო მაშინ მივიდა მონადირესთან, როცა იგი შინ არ იყო. კაქკაქი ეზოში ხეზე იჯდა. ბავშვი ხესთან გაჩერდა. სახეზე მღელვარება დაეტყო. მერე უტბად დაავლო ხელი კაქკაქს და უბეჭი ჩაისვა. ის იყო შინისაკენ აპირებდა გაქცევას, რომ მონადირეც მოვიდა. მოხუცს უნდოდა შაქროსთვის ესიამოვნებინა და კაქკაქს დაუძახა:

— კაქკაქო, სადა ხარ?

— აქ! — მოისმა ბავშვის უბიდან კაქკაქის ყრუ ხმა.

შაქრო აირია, კაქკაქი გაუშვა და მოხუცს უთხრა:

— მაპატიე, პაპა, შევეცდი! თავის დღეში ასეთ საქციელს აღარ ჩავიდნენ!

ამის შემდეგ შაქროს სხვისი ნივთი აღარ მიუთვისებია.

რა შეცდომა მოუვიდა შაქროს?

როგორ გამოასწორა შაქრომ თავისი შეცდომა?

ანდაზა. თივაში ცეცხლი არ დაიძვლებოდა.

ენის სავარჯიშო. დამარცვლეთ მოცემული სიტყვები და გამოარკვეეთ, როგორ შეიძლება ამ სიტყვების გადატანა: მოხუცი, ლაპარაკი, მონადირე.

ცრუ.

ბიჭი ცხვრებს აძოვებდა. მახლობლად გლეხები ყანას მკიდნენ. ბავშვმა იფიქრა: მოდი ერთი ამ გლეხებს შევაჩოჩოლებო. უცებ ყვირილი მორთო: ვაიმე, ვაიმე, მიშველეთ, მგელიო!

გლეხები მოცვივდნენ. ნახეს — ტყუილი იყო.

ასე მოატყუა ბავშვმა გლეხები მეორედ და მესამედ. მეოთხედ მგელი მართლა მიუვარდა ბავშვს. ბავშვმა გააბა ყვირილი: არიქა, მიშველეთ, მგელიო!

გლეხებს ეგონათ — კიდევ გვატყუებსო და ყურიც აღარ ათხოვეს. მგელი უშიშრად დაერია ცხვრის ფარას და დიდი ზარალი მიაყენა.

რას აკეთებდა ბიჭი?

რას აკეთებდნენ გლეხები ყანაში?

რამდენჯერ მოატყუა ბავშვმა გლეხები? როგორ მოატყუა?

რა მოხდა მეოთხედ?

ანდაზა. ტყუილის მთქმელს მართალსაც აღარ დაუჯერებენ.



მე სამშობლოსათვის ვმუშაობ.

ივანე მიჩურინმა მრავალი ახალი ხეხილი გამოიყვანა და გაავრცელა, მაგრამ ძველი რუსეთის მთავრობა მას ყურადღებას არ აქცევდა. მთავრობამ არც კი იცოდა, რას აკეთებდა მიჩურინი. სამაგიეროდ, ხალხი მას კარგად იცნობდა. მან სახელი საზღვარგარეთაც გაითქვა.

ერთ მშვენიერ დღეს ივანე მიჩურინს ბალში ერთი ამერიკელი პროფესორი ეწვია. მიჩურინმა იგი თავაზიანად მიიღო, აჩვენა ახალი ხეხილი.

ამერიკელმა პროფესორმა უთხრა:

— წამოდით ამერიკაში, ბევრს, ძალიან ბევრ ფულს მოგცემთ. წამოდით თქვენი ხეხილიც.

— მე სამშობლოსათვის ვმუშაობ და არა ფულისათვის!
— უპასუხა ამაყად მიჩურინმა და ზურგი შეაქცია.

რა წინადადება მისცა ამერიკელმა პროფესორმა მიჩურინს?

რას ჰპირდებოდა ამერიკელი მიჩურინს?

რა პასუხი გასცა მიჩურინმა ამერიკელს?

წერილი სავარჯიშო. გაეცით მოკლე პასუხი მოცემულ კითხვებზე.



ბერიკაცი და ნამეენი.

ერთი ღრმად მოხუცებული ბერიკაცი ბაღში მსხალს ამყნობდა. მივიდა ერთი ყმაწვილი და ჰკითხა: პაპა, რას აკეთებო?

— მსხალს ვამყნობ, ჩემო კარგო, — მიუგო მოხუცმა. — შეიძლება ამის ნაყოფს მე ველარ მოვესწრო, მაგრამ სხვები მოესწრებიან, გაიხარებენ, მომიგონებენ და მადლობას შემომითვლიან. ფუტკარიც კი არ შრომობს მარტო თავისთვის და ადამიანმა როგორ არ უნდა იზრუნოს სხვებისთვისაო.

რა ჰკითხა ბავშვმა ბერიკაცს?
რა პასუხი გასცა მან?

დიღა.

ვარდს გაფეურჩქნა კოკორი,
გადახვეოდა იასა,
ზამბახსაც ვალვიძებოდა
და თავს უხრიდა ნიაფსა.

ტოროლა მალლა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ვალობდა,
ბულბულიც გახარებული
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

— აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
ილხინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!



რას ამბობდა ბულბული?

რით უნდა გაახაროს ქართველმა სამშობლო?

წერილით ხავარჯიშო. ზეპირად დაწერეთ ამ ლექსის მესამე ნაწილი.



ბოსტანში.

დეიდა ნინომ გივი და ნუნუ ქალაქგარეთ კოლმეურნობის ბოსტანში წაიყვანა. დეიდა ნინო აგრონომი იყო და ამ ბოსტანში მუშაობდა.

— ბავშვებო, ბოსტანი დაათვალიერეთ, მხოლოდ ბილიკებზე იარეთ, მცენარეები ფეხით არ გაქელოთ! — დაარიგა დეიდამ გივი და ნუნუ.

ბავშვები ბილიკს გაჰყვნენ.

გივიმ უცბად ნესვებს მოჰკრა თვალი.

— ნუნუ, ნახე, რამდენი ნესვია! — გაკვირვებით წამოიძახა გივიმ.

— ეს რა ამბავია? ნესვი გოგრაზე როგორ გაჩნდა? — იკითხა ნუნუმ.

ბავშვები გაოცდნენ: ერთ ბარდს ნესვიც ესხა და გოგრაც.

ისინი დეიდასკენ გაიქცნენ.

— დეიდა ნინო, წამოდი ჩქარა, რა გაჩვენოთ! გოგრებს ნესვები მოუსხამთ,— უთხრეს სირბილისგან აწითლებულმა ბავშვებმა და დეიდა უცნაური მცენარისკენ წაიყვანეს.

— შეხედე, დეიდა, ერთ ბარდს ნესვიც გამოუბამს და გოგრაც.

დეიდა ნინოს გაელიმა.

— ბავშვებო, თქვენ ხომ გაგიგიათ ნამყენი? — შეეკითხა დეიდა ბავშვებს.

— როგორ არა: ვაშლის, ატმის, კიდეც თუთისა, მსხლისა.

— ჰოდა, ესეც გოგრისა და ნესვის ნამყენია. გოგრაზე დამყენილი ნესვი უფრო ტკბილია, დიდი და უფრო აღრეც შემოდის, ვიდრე ჩვეულებრივი. აი, გემოსაც ახლავე გაგასინჯებთ.

ცოტა ხნის შემდეგ ხის ქვეშ მაგიდაზე ბავშვები ტკბილსა და გემრიელ ნესვს შეექცეოდნენ.

სად წაიყვანა დეიდა ბავშვები?
რამ გააოცა ბავშვები ბოსტანში?

წერიტი სავარჯიშო. ამ კითხვებზე წერილობით გაეცით პასუხი.



ენის სავარჯიშო. დამარცვლეთ მოცემული სიტყვები და გამოარკვიეთ, როგორ შეიძლება ამ სიტყვების გადატანა: მაგიდა, მცენარე, დეიდა.

გვრიტი და მტრედი.

(იგავ-არაკი)

გვრიტი გალიის მსგავს მახეში მოჰყვა და იწყო საბრალოდ ფრთხილი. ხან აქეთ აწყდებოდა, ხან იქით, — ეგების როგორმე თავი დავაღწიოო. დანახა ეს ახალგაზრდა



მტრედმა და, დახმარების მაგივრად, დაუწყო გულსაკლავი დაცინვა: არა გრცხვენია, შუადღისას მახეში გაებიო?! მე ეგრე აღვილად ვერ მომატყუებდნენო. თურმე იქვე ძუის მახე იყო გაბმული. დამცინავმა მტრედმა ვერ შენიშნა მახე და შიგ გაიხლართა.

წერთი სავარჯიშო. ვის დასცინოდა მტრედი? რა მოუვიდა დამცინავ მტრედს?
ამ კითხვებზე პასუხი გაეცით და ანდაზაც მიუწერეთ.

ანდაზა. ნუ დასცინი სხვასაო. გადაგხდება თავსაო.

გვრიტი.

(ზღაპარი).

იყო და არა იყო რა, იყო ერთი გვრიტი. ცხოვრობდა თავისთვის ერთ ხეზე. ერთხელ თავისი ბარტყებისათვის საკმლის საშოვნელად შორს მოუხდა წასვლა. ბოროტმა კაცმა ამ დროს ბარტყები ამოსხა ბუდიდან და შინ წაიყვანა.



დაბრუნდა შინ გვრიტი და შვილები ბუდეში აღარ დაუხვდნენ. დალონდა მწარედ. წავიდა ბარტყების საპოვნელად. შემოეყარა წინ მამალი.



— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების საპოვნელადაო. — მეც შენი მშველელი ვიქნებო! — ძალიან კარგო.

იარეს, იარეს და ახლა მახათი შემოეყარათ გზაზე.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების საპოვნელადაო. — მეც შენი მშველელი ვიქნებო! — ძალიან კარგო.

დაედევნა უკან მახათიც.

იარეს, იარეს და ახლა ფილთაქვა შეხვდათ.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების



საპოვნელადაო.—მეც შენი მშველელი ვიქნებიო!—ძალიან
კარგიო.


გამოუდგა უკან ფილთაქვაც.



ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ბოლოს წინ შემოეყა-
რათ ვირი.

— გვრიტო, გვრიტო, სად მიფრინავო? — შვილების სა-
პოვნელადაო.—მეც შენი მშველელი ვიქნებიო!—ძალიან
კარგიო.

დაედევნა უკან ვირიც.



მივიდნენ ღამით ერთ სოფელში. დაუგდეს ყური. ერთი
სახლიდან პატარა გვრიტების ჭყიპინი შემოესმათ. ყველანი
იმ სახლთან მივიდნენ და საომრად მოემზადნენ.

ვირი კარებთან აიტუზა. მახათი კარებიდან შეძვრა.
სხვები ერდოდან ჩავიდნენ სახლში. მამალი ბუხრის თავზე
შეფრინდა. ფილთაქვა ნაღვერდალში ჩაეფლო. მახათი
ბუხრის პირას დაერქო.

გვრიტი გალიასთან მიფრინდა თავისი ბარტყების გამო-
საშვებად. ამასობაში კაცს გამოედვიძა. წამოვარდა ზეზე,
მივიდა ბუხართან, ცეცხლი უნდა აენთო.



ამ დროს ფილთაქვა გასკდა და ნაღვერდალი კაცს შიგ
თვალეზში შეეყარა. მახათი ბარძაყში შეერქო. მამალმა
ზევიდან დაჰყივლა. კაცი შეშინდა, გარეთ გამოვარდა.
იქაც ვირმა ერთი ღონიერი წიხლი ჰკრა და გონება სულ
დაუბნია.

ამასობაში გვრიტმა გალია გაუღო თავის ბარტყებს,
შეისხა მხრებზე და ბუღისაკენ გაექანა.

რა გასაქირი დაადგა გვრიტს?

რამ გაუადვილა გვრიტს ბარტყების ჰონენა?

გაზაფხულდა

ამწვანდა მთები,
ამწვანდა ქალა,
ბუნება ტურფად
გადაიშალა.

მწვანობს ჯეჯილი,
ყვავის ხეხილი,
თეთრად ცხვარი ჩანს
გადაფენილი.

ფეთქენ იანი,
დღეა მზიანი,
არავინ მისცეთ
ყვავილთ ზიანი!



როგორ გესმით გამოთქმა: „არავინ მისცეთ ყვავილთ ზიანი!“
წერითი სავარჯიშო. ამ ლექსის მიხედვით დაწერეთ მოკლე მოთხრობა
გაზაფხულის შესახებ.

სასაუბრო.

წყურვილს რით ვიკლავთ? წყლის გარდა კიდევ რასა ვსვამთ?
წყალს, რძეს, ღვინოს, ჩაის, ყავას — სასამელი ეწოდება.
კიდევ რა სასამელი იცით?
რა ფერისაა რძე? ყავა? ღვინო?
რა გვაძლევს რძეს?

გამოცანა. დავკარ ხმალი, არ დააჩნდა კვალი.


წერითი სავარჯიშო. გაცეთ პასუხი შემდეგ კითხვებზე: რძე სასამელია
პური? წყალი? წიგნი? მაგიდა?



მკვეხარა მამალი.

— იცით, ქათმებო, რას
გეტყვით,
მეტი რომ არ ვთქვა
თავზედა,
ჩემი ბადალი, მითხარით,
ვინ არის ქვეყანაზედა?
დავიარები ამაყად
და ვყივი მალალხმიანი,
შიშის ზარსა ვცემ ქვეყანას
ვაქვაცი დეზებინი!
ლამაზიცა ვარ, ბიბილო

მიმიგავს წითელ ლალებსა,
კისერი კოხტად მიჭირავს
და ვაბრიალებ თვალეხსა!
„ყიყლიყოს“ დასაძახებლად
გულიც კი აუყუნცულდა,
მაგრამ უეცრად პაწია
გოშია გამოცუნცულდა.
დაყეფა. შეკრთა მამალი,
როგორც პატარა შოშია
და შერცხვენილმა რაინდმა
მოკურცხლა საქათმეშია.



საიდან ჩანს, რომ მამალი ტყუილად უწოდებდა თავის თავს ვაქ-
კაცს?
გამოცანა. თავს — ხერხი, ბოლოს — ნამგალი.
დავალეხა. მონახეთ და წაიკითხეთ ის სიტყვები, რომლებიდანაც
ჩანს მამლის ტრაბახი.
წერითი ხავარჯიშო. აწერეთ მამლის გარეგნობა ამ ლექსის მიხედვით.

კრუსი და წიწილები.



ქოჩორა კრუსმა პირველად გამოიყვანა მინდორში თავისი პატარა წიწილები. დედამ დაარიგა: თუ საშიში რამ დაინახოთ, ჩემკენ გამოიქეცითო. წიწილები ბალახში გაიშალნენ.

— წია, წია! მეშინია! — იწივლა ყვითელამ.

გულგახეთქილი ქოჩორა მივარდა მასთან. ხედავს, ყვითელა პატარა ქიას თავს დასდგომია და შიშისაგან ცახცახებს.

— კრუს, კრუს! ნუ გეშინია, ყვითელა! ეს ქიაა. ჩაჭკარი ნისკარტი და შეჭამე! — უთხრა დედამ.

— ვაი, ვაი! გვიშველე, დედა, გვიშველე, მოდის! — მოისმა ხმა.

ქოჩორამ წიწილების ახლოს მურია დაინახა.

— ნუ გეშინიათ, ეს ჩვენი მურიაა, არაფერს გერჩით, — დაუკრუსუნა ქოჩორამ.

ქოჩორა იქვე საბძელთან ბზის ქექვას შეუდგა.

— ვაი, ვაი! ვილაცამ თავზე წყალი გადმოგვასხა! — წიოდნენ წიწილები.

— ნუ გეშინიათ, ცა მოიღრუბლა და წვიმა წამოვიდა.

ქოჩორამ წიწილები ხის ქვეშ შეიყვანა, ფრთები გაშალა და ქვეშ შეისხა.

რამ შეაშინა წიწილები?

როგორ დაიფარა დედამ წიწილები წვიმისაგან?

გამოცანა: ერთ ტიქტორაში ორფერი ლენინოა: თეთრი და ყვითელი; რამდენიც უნდა ანჯღრიო, ერთმანეთში ვერ აურევ.

ენის სავარჯიშო. ამ მოთხრობიდან გადაიწერეთ ერთი სამსიტყვიანი და ერთი ხუთსიტყვიანი თხრობითი წინადადება. ეს წინადადებები გადააქციეთ კითხვით წინადადებად, დაწერეთ და თითოეულ წინადადებას შესაფერისი ნიშანი დაუსვით.

ქორი და წიწილა.

ქორმა წიწილა წაიღო,
 იძახდა „წიავ-წიავსა“,
 წიწილის თეთრი ბუმბული
 ველად გაჰქონდა ნიავსა.
 ისმოდა ბებრის ეზოში
 კრუხის ქვითინი მწარეა,
 მოსვლოდნენ მოკეთებები:
 კრუხნი, მამლები, ვარია,
 ნათესავები კრუხისა,
 მთელი იმისი გვარია.
 ცხარე ცრემლს ღვრიდნენ ქათმები.
 იღგა გლოვა და ზარია.



რამ ააწიოკა ქათმები?
 კიდეე რომელი ფრინველი იტაცებს ქათმებს?

მეფრინველების ფერმა.



დავლება. აწერეთ ეს სურათი.

ძალღუერძენა.

პატარა ვანო ტყეში საქონელს აძოვებდა. ერთ ჩირგვზე მრგვალი და მოშავო ფერის ხილი დაინახა. „ეს უთუოდ კრიკინა არის“, — იფიქრა ვანომ. მოწყვიტა ერთი მარცვალი და შეჭამა. ცოტა არ იყოს, ეგემრიელა. დაუწყო ჭამა.

უცებ გულმა რევა დაუწყო და მუცელმა გლეჯა. ძლივს მიაღწია სახლამდის. დედა მაშინვე ექიმთან გაიქცა. ექიმი ავადმყოფთან წამოვიდა. როცა ბავშვს გამოჰკითხა, თქვა: ძალღუერძენა უჭამია და იმას მოუწამლავსო.

ექიმის რჩევით დედამ ვანოს ბლომად დააღვეინა თბილი რძე, რომ ბავშვს პირღებინება ასტეხოდა და შხამი ამოეღებინა. გაუფრთხილებელი ბავშვი სიკვდილს ძლივს გადაურჩა.

რა შეჭამა ვანომ?

რა ეგონა ვანოს ძალღუერძენა?

რა დაემართა ბავშვს?

ვინ გადაარჩინა?

ანდაზა. სიფრთხილეს თავი არა სტკივა.

წერილი ხავარჯიშო: მოცემული კითხვების მიხედვით დაწერეთ ამ ნო-
თბრობის მოკლე შინაარსი.

ბალი და ჩიტები.

დამწიფდა ბალი, დაშაქრდა, ყველას დაუტკბო გულია, ხეხილის ირგვლივ ჩიტუნებს შეუდგათ სიხარულია. ეს ჩიორები სტუმრად დახუნძლოლ ხეხილს სწვევიან და ლხინით, ნაზი ჭიკჭიკით ტკბილ მარცვლებს შეექცევიან.



როგორ გესმით გამოთქმა: „ბალი დაშაქრდა“?

რამ გაახარა ჩიტუნები?

ქარი და საბძელი.

კალოობა იყო. ქარმა ბევრი ბზე მიჰყარა საბძლის კართან და დაუძახა: საბძელო, კარი გამიღე, ბზე უნდა შემოვიტანო! საბძელმა უპასუხა: ძამიავ, შენი ამბავი რომ ვიცი, ერთი მხრიდან შემოტანილს მეორიდან გაიტან და თან ჩემს საკუთარ ბზესაც გაატანო. თუ დამეხსნები, არც შენი შემოტანილი მინდა და არც გატანილიო.

რა უთხრა ქარმა საბძელს?

რატომ უთხრა საბძელმა ქარს უარი ბზის შემოტანაზე?

ანლაზა. ქარის მოტანილს ისევ ქარი წაიღებსო.

მეზობლები.

ივანეს ცხენი მეზობლის სიმინდში გადავიდა. მეზობელი გაბრაზდა, დაამწყვდია ცხენი და ივანეს ზარალი ერთი სამად გადაახდევინა.

გავიდა რამდენიმე დღე. მეზობლის ხბო ივანეს ბოსტანში შეიპარა და მწვანილი გააოხრა. ივანემ დაიჭირა ხბო, მიჰგვარა მეზობელს და უთხრა:

— აი, შენი ხბო, ჩემი ბოსტნიდან მოგიყვანე, ჩაიბარე! მეზობლებს ჩხუბი და ჯიბრი არ შეშვენით.

შერცხვა მეზობელს და უთხრა:

— ჩინებული კაცი ყოფილხარ, ივანე! ინებე უკანვე შენი ფული და ვიცხოვროთ მეგობრულად, როგორც კარგ მეზობლებს შეშვენით.

როგორ მოექცა მეზობელი ივანეს?

როდის შეეძლო ივანეს სამაგიერო გადაეხადა მეზობლისათვის?

როგორ მოექცა ივანე მეზობელს?

როგორ იმოქმედა მეზობელზე ივანეს საქციელმა?

წერითი ხავარჯიშო. მონახეთ და გადაიწერეთ მეზობლის პასუხი.



პირველი მაისი.

დღეს პირველი მაისია
და ბრწყინვალე გაზაფხული,
წითელ-წითელ ყვავილებით
მორთული და მოკაზმული.

დღეს მშრომელთა დღეობაა,
ბრწყინვალე და დიდებული,
მოდის ხალხი, მოგუგუნებს
ერთ დროშის ქვეშ დარაზმული.

გაუმარჯოს პირველ მაისს,
გაუმარჯოს ჩვენს ერთობას,
გაუმარჯოს ერთა შორის
მტკიცე კავშირს, მტკიცე ძმობას!

ძალა ერთობაშია.

ერთ დაბურულ ტყეში ძველისძველი მუხა იდგა. მუხაში ფულურო იყო. ამ ფულუროში ფუტკარი ბუდობდა. დაულაღვად მუშაობდნენ ფუტკრები და ტკბილ თაფლს აკეთებდნენ.

ერთ დღეს აი რა მოხდა: თაფლს დათვი ესტუმრა. ფულუროდან ფუტკრების ზუზუნი ისმოდა. ერთი ფუტკარი ფულუროდან გამოფრინდა, მინდვრისაკენ მიეშურებოდა, მაგრამ დაინახა დათვი და შეჩერდა.



— შენ, ეი, მოგვშორდი აქედან, თორემ შავ დღეს დაგაყენებთ! — დაემუქრა დათვს ფუტკარი.

დათვს სასაცილოდ არ ეყო ეს მუქარა. პატარა ხანს უკან ფუტკრების მთელი გუნდი მოფრინდა დათვთან.

— როგორ ბედავ ჩვენთან მოსვლას! — დაიბზუილეს ფუტკრებმა და მწარედ დაუწყეს კბენა.

გამწარებული დათვი თათებს იქნევდა. თავ-პირი დაიკაწრა, მაგრამ ვერას გახდა.

ამ დროს დათვს ხიდან შაშვის ხმა მოესმა:

— გირჩევნია მოშორდე აქაურობას. მართალია, ფუტკრები სუსტი არსებანი არიან, მაგრამ ძალა ერთობაშია. მაგათთან შენ კი არა, თვით უძლიერესი ლომიც ვერაფერს გახდება.

დათვი ბუნაგისაკენ წაძუნძულდა.

ფუტკრების ლაშქარი კი მხიარული ბზუილით თავის ბინას დაუბრუნდა.

რატომ მიესივნენ ფუტკრები დათვს?

ვინ გაიმარჯვა ბრძოლაში?

რატომ გაიმარჯვეს ფუტკრებმა?

მოუთმენლობის მსხვერპლი.

ივლისის საღამო იყო. სამი დაქანცული მგზავრი სოფელში შემოვიდა და ცივი წყაროსკენ გაეშურა. პირველი მგზავრი მოუთმენლად მივარდა წყაროს, პირველ დაემხო და ყინულივით ცივ წყალს დაეწაფა. მერე ადგა და იქვე წყაროს თავზე წამოწვა.

მეორემაც გული იჯერა წყაროს წყლით, მაგრამ კი არ დაჯდა, წყაროს თავზე დაიწყო სიარული, თუმცა ძლიერ დაღლილი იყო.

მესამემ წყურვილსა სძლია. ჯერ კარგად დაისვენა და მერე დალია წყალი.

პირველ მგზავრს იმავე ღამეს ფილტვების ანთება დაემართა და სიკვდილს ძლივს გადაურჩა, მეორე ცოტა უქეფოდ შეიქნა, მესამეს კი არა ვნებია რა.

რატომ დაემართა ფილტვების ანთება პირველ მგზავრს?

რატომ გახდა ავად მეორე?

რატომ არ გახდა ავად მესამე?

გამარჯვების მაისი.

მოხვედი და მთა-ბარი
ვარდ-ყვავილით აივსო,
ვაშა შენს მობრძანებას,
გამარჯვების მაისო!

კილით-კიდე გუგუნებს,
კილით-კიდე მიღელავს
ხალხთა ძმობის, სიცოცხლის
და მშვიდობის სიმღერა.

მოკონება.

სოსო, გიგლა და მე დილაადრიან სამწყერაოდ წავე-
დით. უიჟინით გადავბრბოდით ერთი სამკლიდან მეორეში.
თავ-პირზე ოფლი წურწურით ჩამოგვდიოდა. ხანდახან
მწყერი ცხვირწინ აგვიფრინდებოდა, მაგრამ დაჭერას
მანც ვერ ვახერხებდით. თოლიაც გამალეებით დარბოდა.

— ქვით-კირი, ქვით-კირი! — მოისმა ნამკლის ბოლოდან
მწყრის ძახილი.

— არიქა, ბიჭებო! გავიქცეთ იქით, დედა მწყრის ხმაა! —
შეჰყვირა სოსომ და გაიქცა. ჩვენც გავყევით. თოლიამ
გაცხარებით დაუწყო მწყერს ძებნა. უცებ გადახტა და
თათები მიწას მაგრად დაარტყა. მოგვესმა რალაც წრიპინი.

თოლიამ თავი ასწია. პირში მწყერი ეჭირა. მწყერს
თვალეები ცრემლევით ჰქონდა სავსე.

— რად მომისპეთ სიცოცხლე? რად დამიტოვეთ შვი-
ლები ობლად? — თითქოს გვეუბნებოდა საბრალო მწყერი.

გიგლამ ქვითინი დაიწყო. დაღონებული წამოვედით
შინ. ამის შემდეგ ფრინველებზე აღარ გვინადირია.

რა დაიჭირა თოლიამ?

რა მოუვიდა დედა მწყერს?

როგორ იმოქმედა ბავშვებზე მწყრის სიკვდილმა?

წერითი ხავარჯიშო. ამ კითხვებზე გაეცით მოკლე პასუხი.



აი, როგორ გავუკუქდი.

აღრე ვღგები, ლოგინში
გორვას როდი ვუნდები,
გადავწყვიტე ვარჯიშით
გავიკაჟო კუნთები.

რომ ტოლებში არ ვგავდე
მისუსტებულ წიწილას...
ცივი წყლით და ტილოთი
ტანს ყოველდღე ვიზელავ.

რატომ ჰქონდა ერთ ბიჭიკოს მაგარი კუნთები?

კოლექტივის ქონების დაზოგვა.

I

პაპა თედომ პატარა ილოს სათამაშო ურემი გაუკეთა. ილო სიხარულით პაპას ყელზე შემოეხვია და აკოცა. მერე ურემი საჩქაროდ გარეთ გამოიტანა და მეზობლის ბიჭებს დაუძახა.

ბავშვები სიხარულით დააქროლებდნენ ურემს. ზედ ხან



ფიჩხის პატარა კონებს აწყობდნენ, ხან რიყის ქვებს ეხიდებოდნენ.

სოფელში გახურებული მკაა.

სამკელი მანქანა გამალებით მკის ყანას. აქვე არის საღიწი მანქანა და პურს ლეწავს.

უხვია მოსავალი. სწრაფად ივსება ხორბლით დიდრონი ტომრები. ტომრებით დატვირთული მანქანები მიქრიან კოლმეურნეობის ბელლისაკენ.

— მოდით, ბიჭებო, თავთავები ავკრიფოთ. ურემზე დავაწყოთ და მერე კალოობა ვითამაშოთ, — წამოიძახა ილომ.

ბიჭები ნამკლის ბოლოში შეეცვივნენ. მალე ურემზე გამოჩნდა თავთავების კონა. ბავშვებმა იქვე გზის პირას პატარა კალოს მომზადება დაიწყეს.

II

ამ დროს ბავშვებმა გზაზე თავთავების კონებით დატვირთული ნიკა დაინახეს. ის სამი წლით უფროსი იყო ილოზე.



— მოდი, ნიკა, ვითამაშოთ, — დაუძახეს ბიჭებმა ნიკას. ნიკამ ურემზე თავთავები რომ დაინახა, შუბლი შეიკრა და იკითხა:

— რას აპირებთ, ბიჭებო?

— კალოობა უნდა ვითამაშოთ!

— არ შეიძლება, — წამოიძახა ნიკამ. — თავთავი კოლექტივისაა და კოლექტივის უნდა მიუტანოთ. აი, მეც ავკრიფე თავთავი, მაგრამ კოლექტივის კალოზე მიმაქვს, — თქვა ნიკამ და გზას გაუდგა.

ბიჭები ცოტა ხანს ჩაფიქრებული იდგნენ. უცებ ილომ ამხანაგებს მიმართა:

— წავიდეთ, ბიჭებო, ჩვენი აკრეფილი თავთავიც საერთო კალოზე მივიტანოთ.

ორღობეში პატარა ურმის კრიალი გაისმა. მალე ბავშვების მიერ აკრეფილი თავთავები კოლექტივის საერთო დოვლათს მიემატა.

სიტყვების ახსნა. დოვლათი — სიმდიდრე.

რა მიჰქონდათ ბავშვებს?

რისთვის?

რა უსაყვედურა ნიკამ ბავშვებს?

რას მიხედნენ ბავშვები?

რა უყვეს ბავშვებმა აკრეფილ თავთავებს?

ოქროს ყანა.

ზაფხულია. მინდორ-ველი
დაამშვენა ოქროს ყანამ,
მღელვარე და სანატრელი
ვის უნახავს ამისთანა?

აქეთ ოქროს თავთავები,
იქით ოქროს თავთავები,
შრიალებენ, გვიცინიან
თაფლისფერი წამწამებით.

დიდ-პატარა მინდვრად არის,
ყველა შრომობს, ყველა
ხარობს,
და ლურჯი ცა ზედ დაჰხარის
კომბაინს და მზიან კალოს.



რასთან არის შედარებული მწიფე თავთავები?

რატომ?

რას გულისხმობს ავტორი სიტყვებში „თაფლისფერი წამწამებით“?

ს ბ ო

სალამო ახლოვდებოდა. სატვირთო მანქანა სამგორის ველზე მიქროდა. ბესიკო მინდვრიდან შინ ბრუნდებოდა. უეცრად ძეძვის ძირას რალაცას მოჰკრა თვალი. კაბინის სახურავს დაუბრაახუნა. მანქანა შეჩერდა და გადმოვიდნენ. ძეძვის ძირას დავარდნილი ხბო იწვა. სოფელი კი შორს იყო.

— ავწიოთ, მანქანაში მოვათავსოთ, — შეეხვეწა ბესიკო შოფერს.

— გაუშვი იყოს, — თქვა შოფერმა ბესიკოს გამოსაცდელად.

- ღამდება, მგელი შექამს.
- მართალია, მაგრამ შენი ხომ არ არის?
- იქნებ მეზობლისაა?
- თუ არც მეზობლისაა?
- მაშინ იქნება ჩვენი კოლმეურნეობისაა?
- თუ არც ჩვენი კოლმეურნეობისაა?
- ჩვენი ხალხისა ხომ არის, მგელმა რად უნდა შექამოს?

ახლა აღარა ეთქმოდა რა შოფერს. ასწიეს ხბო და მანქანის ძარაში ნამჯაზე დასვეს. ხბო შინ მიიყვანეს. ბესიკომ მიაკითხა მეზობლებს, მაგრამ ხბოს პატრონი არა ჩანდა.

ბოლოს ხბოს პატრონის აღმოსაჩენად ბესიკომ ასეთ ხერხს მიმართა: პატარა წერილი დაწერა და თავისი რაიონის გაზეთს გაუგზავნა.

ვიპოვეთ ხბო.

„სამგორის ველზე დავარდნილი ხბო ვიპოვეთ. სულ წითელია, ნიკორა, საფურე. პატრონს ვთხოვეთ წაიყვანოს“.

ბესიკომ თავისი გვარი და მისამართი მიაწერა.

ბესიკოს წერილი გაზეთში დაიბეჭდა.



რა ღაინახა ბავშვმა ძეძვის ძირას?

რა სთხოვა ბავშვმა მემანქანეს?

რა ხერხს მიმართა ბავშვმა, რომ ხბო პატრონისთვის ჩაებარებინა?

ოთხი სურვილი.

ნიკომ პატარა ციგით ბევრი იცურავა თოვლზე. მერე გაწითლებულმა და გახარებულმა მამასთან მიირბინა და უთხრა:

— უჰ, მამილო, რა კარგია ზამთარი! ნეტავი სულ ზამთარი იყოს!

— შენი სურვილი ჩემს უბის წიგნაკში ჩაწერე, — უთხრა მამამ.

ნიკომ ჩაწერა.

დადგა გაზაფხული. ნიკომ პებლებს ბევრი სდია. ბევრი ყვავილი მოკრიფა და ლამაზი კონები შეკრა. მერე მამასთან მიირბინა და უთხრა: „რა მშვენიერია ეს გაზაფხული! ნეტავი სულ გაზაფხული იყოს!“

მამამ ნიკოს ეს სურვილიც თავის უბის წიგნაკში ჩააწერინა.

მოვიდა ზაფხული. ნიკო და იმისი მამა სამკალში ერთად წავიდნენ. ბავშვი მთელი დღე დიდ სიხარულში იყო. ხან ხელეურს ზიდავდა, ხან წყალში ბანაობდა, ხან მარწყვსა ჰკრეფდა და ხან მწყრებს დასდევდა. საღამოზე მამასთან რომ მივიდა, უთხრა:

— უჰ, დღეს რამდენი ვისიამოვნე! რა კარგი იქნებოდა, რომ მულამ ზაფხული ყოფილიყო!..

ეს სურვილიც მამამ ნიკოს თავის უბის წიგნაკში ჩააწერინა.

დადგა შემოდგომა. ბალები მწიფე ხილით სავსე იყო. ვენახებში დამკრახული ყურძენი ვაზებზე დნებოდა. ნიკომ თავიანთ რთველში ბევრი აკიდო ასქრა და საღამოთი მამას უთხრა:

— შემოდგომა ყველა დროს სჯობნებია!

მაშინ მამამ უბიდან წიგნაკი ამოიღო და ნიკოს წააკითხა მის მიერ ჩაწერილი სიტყვები. ნიკო ცხადად მიხვდა, რომ ყოველი დრო თავის რიგზე კარგი ყოფილა.

წერთი სავარჯიშო. რომელი დრო მოგწონს და რატომ?

გამოცანა. ერთსა ალვისა ხეზედა თორმეტი ტოტი აბია,
სცევა და სცევა ფოთოლი, ისევ იმდენი ასხია.



მელია და მწყერჩიტა.

მშიერმა მელიამ ლეშს მიაგნო და ღონივრად მიაძღა. გაუჭირდა მონელება. შეეხვეწა მწყერჩიტას: „მეზობელო, ოღონდ კი ეს საჭმელი მომანელებინე და, თავი არ მომიკვდება, შენს ბარტყებს პირს არ ვახლებო“. „კარგიო, — უთხრა მწყერჩიტამ, — მე ავფრინდები და შენ უკან ფეხდაფეხ მომყეო“. აფრინდა და გაიდევნა უკან მელია. ხან მინდორზე არბენინა, ხან ჩირვებზე ახტუნა, ხან წყალში ატოპინა. იმდენი ახეტიალა, მანამ ფერდებს დააწყვეტინებდა.

— ძმობილო, მოინელე თუ არაო? — ჰკითხა მწყერჩიტამ.

— მონელებით მოვინელე, მაგ'ამ ახლა სიცილი მომინდა ძალიანაო. ერთი გულიანად მაცინე და შენ შვილი შვილებსაც არას დაუშავებო.

— კარგი, ეგეც ადგილი სამსახურია. გამომყე უკან და სიცილითაც გაგაძღობო, — უთხრა მწყერჩიტამ.

მწყერჩიტამ მიიყვანა მელია კალოზე და ძნაში დამალა. თვითონ მიფრინდა და ხარს რქაზე დააჯდა. გლეხმა სახრე

მოუქნია მწყერჩიტას, მაგრამ ის სწრაფად აფრინდა, სახრე ხარს მოხვდა რქაში და მოსტეხა.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მერე მწყერჩიტა მაწინის ქოთანზე დაჯდა. ქვა ესროლეს. მწყერჩიტამ აიცილინა და მოხვდა ქოთანს. ქოთანი გატყდა და მაწონი კალოზე დაიღვარა.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მესამედ მწყერჩიტა ბავშვს დააჯდა თავზე. ბავშვმა სახრე მოუქნია, მაგრამ თავში მოიბრტყა და მორთო ღრი-ალი.

მელია იცინის, იცინის, კვდება სიცილით.

მიფრინდა მწყერჩიტა მელიასთან და ჰკითხა: „კაი სეირი გაჩვენე თუ არაო?“ ამ დროს მელიას კიდევ მოშივებოდა, წაატანა პირი, უნდოდა მწყერჩიტა დაეჭირა და შეეჭამა. მწყერჩიტა აფრინდა, მელიას ზემოთ ძნაზე დაჯდა და უთხრა:

„ერთი სეირი კიდევ უნდა გაჩვენოო!“ მიეპარნენ მწყერჩიტას და მოუქნიეს დიდი სახრე. აიცილინა მწყერჩიტამ სახრე, მოხვდა მელიას შიგ თავში და შუაზე გაუტეხა.

აფრინდა მწყერჩიტა, გასწია თავის ბინაზე და მელიას მიაძახა:

— სადაც შენი დაიკვებო, იქ ჩემიცა თქვიო.

სიტყვების ახსნა. ლეში — მძორი, მკვდარი ცხოველის სხეული.

მანამ ფერღებს დააწყვეტინებდა —

მანამ მთლად დაქანცავდა.

რა სთხოვა მელიამ მწყერჩიტას?

რა პირობა მისცა მან მწყერჩიტას?

როგორ შეასრულა მწყერჩიტამ მელიას თხოვნა?

როგორ შეასრულა მელიამ პირობა?



ვენახი და თხა.

(ხალხური)



მოდრი, ვნახო ვენახი,
რამ შექამა ვენახი,
მიველ, ვნახე ვენახი,
თხამ შექამა ვენახი.

მოდრი, ვნახო თხა,
რამ შექამა თხა,
მიველ, ვნახე თხა,
მგელმა ქამა თხა.

მგელმა—თხა,
თხამ ვენახი შექამა.

მოდრი, ვნახო მგელი,
რამ შექამა მგელი,
მიველ, ვნახე მგელი,
თოფმა ქამა მგელი.

თოფმა—მგელი,
მგელმა—თხა,
თხამ ვენახი შექამა.



მოდრი, ვნახო თოფი,
რამ შექამა თოფი,
მიველ, ვნახე თოფი,
ქანგმა ქამა თოფი.

ქანგმა—თოფი,
თოფმა—მგელი,
მგელმა—თხა,
თხამ ვენახი შექამა.

მოდრი, ვნახო ქანგი,
რამ შექამა ქანგი,

მიველ, ვნახე ჟანგი,
მიწამ ჭამა ჟანგი.

მიწამ—ჟანგი,
ჟანგმა—თოფი,
თოფმა—მგელი,
მგელმა—თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.



მოდის, ვნახო მიწა,
რამ შეჭამა მიწა,
მიველ, ვნახე მიწა,
თავგმა ჭამა მიწა.

თავგმა—მიწა,
მიწამ—ჟანგი,
ჟანგმა—თოფი,
თოფმა—მგელი,
მგელმა—თხა,
თხამ ვენახი შეჭამა.

მოდის, ვნახო თავვი,
რამ შეჭამა თავვი,
მიველ, ვნახე თავვი,
კატამ ჭამა თავვი.

კატამ—თავვი,
თავგმა—მიწა,
მიწამ—ჟანგი,
ჟანგმა—თოფი,
თოფმა—მგელი,
მგელმა—თხა,
თხამ—ვენახი შეჭამა.



ბანაკად წასვლა.

ზაფხულის ბრწყინვალე დღეა.

თუმცა დილაა, მაგრამ მზე უკვე მწარედ იკბინება.

მატარებელი მიჰქრის.

ერთი ვაგონი პიონერებით არის სავსე. ბაკურიანში მი-
დიან ბანაკად. უხარიათ, რომ ზაფხულს ბაკურიანის მშვე-
ნიერ ბუნებაში გაატარებენ, ყველა ცდილობს ფანჯარას-
თან დაიჭიროს ადგილი.

ფანჯრიდან ლამაზი სურათები იშლება. მოჩანს ამ-
წვანებული ველ-მინდორი, ქოჩორა ტყეები, მდინარეები.

აგერ, მინდორზე საქონელი გაშლილა, ბალახს ძოვს
და ნელი ნაბიჯით წინ მიიწევს.



მატარებელი ბორჯომში გაჩერდა. ბავშვები სხვა მატარებელში გადასხდნენ, რომელიც უფრო პატარა ვაგონებისაგან შედგებოდა. აქ ჩვეულებრივი ვაგონებით მგზავრობა არ შეიძლება, რადგან ბორჯომ-ბაკურიანის ხეობა ვიწროა და მატარებლის გზაც ვიწროლიანდაგიანია.

უცხად მატარებელი ხეობაში შესრიალდა და დაიკვილა.
მისი ხმა მთებზე გადაგორდა და შორს სადღაც ჩაინთქა.
რა მშვენიერი ბუნებაა! ირგვლივ დაბურული ტყეები
მოჩანს, ხეების ტოტები ფანჯარაში შემოკრას ლამობენ.
აღმართს შეუღვნენ. მატარებელი ხვნეშით მიდის მაღ-
ლა-მაღლა.

აი, ბაკურიანიც.

ირგვლივ ტყეები, ტყეები და ტყეები!

რა მშვენიერ ადგილას იყო მოთავსებული ბანაკი!

შემოდგომაზე გაჯანსაღებული და დასვენებული ბავ-
შვები კვლავ დაუბრუნდებიან საყვარელ სკოლას.

სად წავიდნენ ბავშვები ბანაკად?

როგორ ადგილას იყო მოთავსებული პიონერთა ბანაკი?

გამოცანების სახეა

- 20 — ხალიჩა
- 22 — თხა
- 35 — ბორბლები
- 73 — წყალი
- 81 — მამალი
- 82 — კვერცხი
- 96 — წელიწადი და თორმეტი თვე.

ს ა რ ჩ ე ვ ი

გვ.

| | |
|---|----|
| ასაწერი სურათი | 3 |
| ბავშვების სიხარული—ლექსი შიო მღვიმელისა | 4 |
| დიტოს ჯარისკაცი—მოთხრობა ლ. ქიაჩელისა | 5 |
| გლეხის მოგონება—ხალხური | 6 |
| როგორ სწავლობდა ლენინი—გადმოკ. რუსულიდან | 7 |
| ლენინის ანდერძი—ლექსი ს. შამფრიანისა | 8 |
| მეზობლური დახმარება—მოთხრობა გადმოკ. რუსულიდან | 9 |
| დაეხმარათ ჩიტუნებს—მოთხრ. შემდგენლებისა | 11 |
| მჩხავანა კატა—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 12 |
| ზამთარი ლექსი—ი. გრიშაშვილისა | 13 |
| ძალი ბროლია—გადმოკ. რუსულიდან | 15 |
| ასაწერი სურათი—(გუნდაობა, ცივაობა) | 17 |
| ფერმა—გადმოკ. რუსულიდან | 18 |
| მეცხვარე—ხალხური | 19 |
| სასაუბრო—ლოგინი, ანუ ქვეშაგები | 20 |
| თხა და გიგო—მოთხრობა ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 20 |
| ჯიუტი თხები—გადმოკ. რუსულიდან | 21 |
| ცხენის გამოყენება ადამიანის მიერ—ასაწერი სურათი | 23 |
| იაკობ გოგებაშვილი—შემდგენლებისა | 24 |
| ვანო და ქალაქი—გადმოკ. შემდგენლების მიერ | 25 |
| ქუჩაში მიმოსვლის წესი—შემდგენლებისა | 26 |
| ახალი ქუჩა—ლექსი ა. თევზაძისა | 27 |
| შუქნიშანი—ბ. ჟიტკოვისა, თარგ. რუსულიდან | 28 |
| სად ათევენ ლამეს ტრამვაის ვაგონები და ავტობუსები—გადმოკ. რუსულიდან | 29 |
| პატარა თენგიზი—გადმოკ. რუსულიდან | 30 |
| ლესელიძის სახელობის ქუჩა—ლექსი ვ. გორგანელისა | 31 |
| წერილის გაგზავნა—ასაწერი სურათი | 32 |
| მატარებელი გადაარჩინა—მოთხრობა ნ. კეცხოველისა | 33 |
| მიმოსვლისა და გადაზიდვის საშუალებანი—ასაწერი სურათი | 35 |
| პატარა ოსტატები—ლექსი ი. გრიშაშვილისა | 36 |

| | |
|---|-----------|
| მგელი და ბატყანი—ა. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 37 |
| სამი მგელი—ხალხური | 39 |
| ცალთვალა ირემი და მონადირე—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 39 |
| კურდღელი და ბაჭიები—ლექსი ი. გრიშაშვილისა | 41 |
| შელია—შემდგენლებისა | 42 |
| შელამ თავი მოიმკვდარუნა—ასაწერი სურათი | 43 |
| ზოოპარკი—ლექსი თ. კვირიკაძისა | 44 |
| პატარა წრუწუნა—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 45 |
| საბჭოთა არმიელი—ლექსი რ. მარგიანისა | 47 |
| ჩვენი სოფელი—შემდგენლებისა | 48 |
| თებერვალი—ლექსი ალ. მირცხულავასი | 49 |
| ბავშვთა ბაგა—შემდგენლებისა | 50 |
| სახელოვანი ადამიანი—გადმოკ. რუსულიდან შემდგენლების მიერ. | 51 |
| პატარა სოსო—მოთხრობა დ. კასრაძისა | 53 |
| კოლმეურნეობის ბოსტანი—შემდგენლებისა | 55 |
| გაზაფხული—ლექსი შიო მღვიმელისა | 56 |
| ორი სახნისი—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 57 |
| ხენა თესვა ძველად და ახლა—ასაწერი პლაკატი | 58 |
| ჯეჯილი—ლექსი ი. დავითაშვილისა | 59 |
| ხალხური—ლექსი | 59 |
| სასაუბრო—საქმელი | 59 |
| შოშიები—თარგმ. რუსულიდან შემდგენლების მიერ | 60 |
| შოშია და ბავშვები—ლექსი შიო მღვიმელისა | 61 |
| ია და ქიანჭველა—მოთხრობა ნ. კეცხოველისა | 62 |
| ქიანჭველა და ფუტკარი—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 63 |
| ყმაწვილი და პეპელა—ლექსი ა. წერეთლისა | 64 |
| ბარტყების გამოჩეცა—ასაწერი სურათი | 65 |
| მერცხლის სიმღერა—ლექსი ვაჟა-ფშაველასი | 66 |
| გარეული ფრინველები—ასაწერი სურათი | 66 |
| ჩიტი და მელა ზღაპარი. გადმოკ. გ. თავზიშვილის მიერ | 67 |
| ჩიტი—ლექსი ი. ჯავახიძისა | 69 |
| შაქროს სინანული—გადმოკ. რუსულიდან შემდგენლების მიერ | 69 |
| ცრუ—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 70 |
| მე სამშობლოსათვის ვმუშაობ—მოთხრობა ნ. კეცხოველისა | 71 |
| ბერიკატი და ნამყენი—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 72 |
| დილა—ლექსი ი. ჯულაშვილისა | 73 |
| ბოსტანში—გადმოკ. შემდგენლების მიერ | 74 |
| გვრიტი და მტრედი—გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 76 |
| გვრიტი—ხალხური ზღაპარი | 77 |
| გაზაფხული—ლექსი ი. ჯავახიძისა | 80 |
| მკვებარა მამალი—ლექსი შიო მღვიმელისა | 81 |
| კრუხი და წიწილები—მოთხრ. ნ. ნაკაშიძისა | 82 |
| ქორი და წიწილა—ლექსი ვაჟა-ფშაველასი | 83 |

| | |
|--|-----|
| მეტრინველეობის ფერმა—ასაწერი სურათი | 84 |
| ძალყურძენა—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 85 |
| ბალი და ჩიტები—ლექსი ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 85 |
| ქარი და საბძელი—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 86 |
| მეზობლები—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 86 |
| პირველი მაისი—ლექსი გ. ქუჩიშვილისა | 87 |
| ძალა ერთობაშია—გადმოკეთებული შემდგენლების მიერ მამინ-სიბი- რიაკის მოთხრობიდან | 88 |
| მოუთმენლობის მსხვერპლი—ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 89 |
| გამარჯვების მაისი—ლექსი ი. ნონეშვილისა | 90 |
| მოგონება—მოთხრობა შ. არაგვისპირელისა | 90 |
| აი, როგორ გავკაქდი!—ლექსი გრ. აბაშიძისა | 91 |
| კოლექტივის ქონების დაზოგვა—მოთხრობა გ. შატბერაშვილისა | 92 |
| ოქროს ყანა—ლექსი გ. შატბერაშვილისა | 94 |
| ხბო—მოთხრობა ბ. ჩხეიძისა | 94 |
| ოთხი სურვილი—მოთხრობა ი. გოგებაშვილის „დედა ენიდან“ | 96 |
| მელია და მწყერჩიტა—ხალხური ზღაპარი | 97 |
| ვენახი და თხა—ხალხური | 99 |
| ბანაკად წასვლა—მოთხრობა შემდგენლებისა | 101 |
| გამოცანების ახსნა | 103 |

ყდა მხატ. კ. შახარაძე
მხატვრული რედაქტორი გ. ვარდელაძე

გადაეცა წარმოებას 1/1-57 წ. ხელმოწერილია
დასახელებად 8/1-57 წ. ანაწყოების ზომა, 6,5 x 11,5
ქალაქის ზომა 70 x 108. ნაბეჭდი თაბახი 6,75.
საალრ.-საგამომც. თაბახი 9,25. ტირაჟი 58.000.
უე 01447 შექვ. № 11

დაბეჭდილია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარბოლიგრაფიკომცემლობის ფერადი ბეჭდვის სტამბაში. თბილისი. მარჯანიშვილის ქ., № 5, აკინძულია 1-ლ სტამბაში. თბილისი, ორჯონიკიძის ქ., № 50.

Отпечатано в типографии Цветной Печати. Переплет изготовлен 1-ой типографией Главполиграфиадмата Министерства культуры Грузинской ССР. Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.

Нина Иосифовна Боцвадзе
Екатерина Иосифовна Бурджанадзе

Дэда эна

ჩ. II
Книга для чтения после букваря
(На грузинском языке)

Госиздат Грузинской ССР
Тбилиси 1957



19 1/159

2 8. 50 3.

